ყვარლის მუნიციპალიტეტში მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების საჭიროებების მიმოხილვა

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ყვარლის მუნიციპალიტეტში მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების საჭიროებების მიმოხილვა

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თბილისი, 2023

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიერ, USAID პროგრამის “ერთიანობა მრავალფეროვნებაშია” ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე

ავტორი: ეთო კოპალიანი

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

თარგმანი ინგლისურ ენაზე: მარიამ ჭუბაბრია

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ეთო კოპალიანი, „ყვარლის მუნიციპალიტეტში მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების საჭიროებების მიმოხილვა“, 2023*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge/

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

ყვარლის მუნიციპალიტეტში

მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების საჭიროებების

მიმოხილვა

სარჩევი

შესავალი და კვლევის მეთოდოლოგია 4

ავარული თემის საჭიროებების მიმოხილვა 5

ზოგადი კონტექსტის აღწერა 5

ავარების თემში გამოვლენილი საჭიროებები 8

უდიური თემის საჭიროებები 13

ზოგადი კონტექსტის აღწერა 13

უდიურ თემში გამოვლენილი საჭიროებები 14

საერთაშორისო და სამთავრობო შეფასებები საქართველოში მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ 16

ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრებები 16

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიდგომები 18

დასკვნა 19

დანართი №1: 22

დანართი №2: 23

შესავალი და კვლევის მეთოდოლოგია

ყვარლის მუნიციპალიტეტი ეთნიკურად მრავალფეროვანი რეგიონია, სადაც ერთმანეთთან ახლომდებარე სოფლებში, ქართველებთან ერთად, საქართველოს მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები - ოსები, უდიები და ავარები[1] ცხოვრობენ. ოსები სოფელ წიწკანაანთსერში ცხოვრობენ, უდიები - სოფელ ზინობიანში, ავარები კი, სოფლებში - თივი, ჩანტლისყურე და სარუსო. ყვარლის მუნიციპალიტეტში ასევე შეხვდებით კათოლიკეებით დასახლებულ სოფლებს - მთისძირსა და სანავარდოს.

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია უდიებისა და ავარების საჭიროებების კვლევის შედეგები.[2] უდიებითა და ავარებით დასახლებულ სოფლებში არსებული მდგომარეობის შესასწავლად სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ადგილზე ჩაატარა ხანგრძლივი საველე სამუშაოები. საველე სამუშაოები ითვალისწინებდა სოფლების ინფრასტრუქტურის, კულტურული და სოციალური შეკრების ადგილების დათვალიერებას, ასევე, ეთნიკური ჯგუფების ძირითადი შეკრების ადგილის - ახალსოფლის ბაზრის მონახულებასა და ჩართულ დაკვირვებას. გარდა ამისა, კვლევის მიზნებისათვის შეიქმნა პრობლემების გამოსავლენად საჭირო კითხვარი, რომლის საფუძველზეც ავარულ სოფლებში ჩატარდა 12 ინდივიდუალური ჩაღრმავებული ინტერვიუ და 1 ფოკუს ჯგუფი, ხოლო უდიებთან, სოფელ ზინობიანში - 5 ინდივიდუალური ჩაღრმავებული ინტერვიუ და 1 ფოკუს ჯგუფი. კვლევაში ასახული საჭიროებები, ასევე გამოვლინდა ავარულ თემში, სოფელ თივში, სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ ჩატარებული სამართლებრივი დახმარების კლინიკის ფარგლებშიც.

სოფლების საჭიროებების კვლევა აჩვენებს, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები კარგად არ იცნობენ მცირე ეთნიკური ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს, ასევე, არასაკმარისად არის გააზრებული და მხარდაჭერილი ამ მუნიციპალიტეტში არსებული უნიკალური მრავალფეროვნება. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ უდიების და ავარების ჯგუფების განსახლების ადგილი მეტწილად ყვარლის მუნიციპალიტეტია და ამ სოფლებში არსებული ექსკლუზია და გამოწვევები მთელი ავარული და უდიური თემების, როგორც ეთნიკური ჯგუფების, მდგომარეობაზე ახდენს გავლენას. ამ პირობებში ადგილობრივი თვითმმართველობის როლი და პასუხისმგებლობები განსაკუთრებით მაღალია და მუნიციპალური პოლიტიკა ამ კონტექსტის აქტიურ გათვალისწინებას საჭიროებს. სამწუხაროდ, ამ ჯგუფებს ადგილობრივ ორგანოებში თითქმის არ ჰყავთ წარმომადგენლები, რაც მათთვის ამცირებს შესაძლებლობას, გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ დღის წესრიგსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.

საქართველოს, როგორც ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის ხელმომწერ მხარეს, აღებული აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს მის

---

[1] ქართულ აკადემიურ ლიტერატურაში ავარებს ხუნძებად მოიხსენიებენ. თუმცა თემის წევრები საკუთარ თავს ავარებს უწოდებენ და ჩვენც დოკუმენტში მათი თვითიდენტიფიკაციის სახელდება გამოვიყენეთ.

[2] შენიშვნა: სოციალური სამართლიანობის ცენტრი კახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ოსური თემის მდგომარეობის შესახებ დამოუკიდებელ დოკუმენტს ამზადებს, რომელიც უახლოეს მომავალში ცალკე დოკუმენტად გამოქვეყნდება.

ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის, მათ შორის, მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვა. ეს ვალდებულება, მათ შორის, გულისხმობს მათი კულტურული და ენობრივი უფლებების დაცვას, საჯარო ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობის პირობების შექმნას და დისკრიმინაციისგან დაცვას ყველა ურთიერთობაში. ეს ვალდებულება გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფებისათვის როგორც საბაზო საჭიროებებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფასა და მათი სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში, ისე მათი კულტურის, ენისა და ტრადიციების შენარჩუნებისა და მონაწილეობისთვის სპეციალური, პოზიტიური ღონისძიებების გატარებაში.[3]

სამწუხაროდ, ინტეგრაციის პოლიტიკა სათანადოდ არ ითვალისწინებს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების მნიშვნელობას, რაც მას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მიმართ არსებული სტრუქტურული უთანასწორობის, ისტორიულად ჩამოყალიბებული უსამართლობების გააზრებასა და პოზიტიურ ინტერვენციებზე დაფუძნებული ღონისძიებების გატარებას აკისრებს. მცირე ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვის საკითხები სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიაშიც არასაკმარისად არის ასახული და მას აკლია ამ ჯგუფების სოციალური ყოფის ნიუანსირებული ანალიზი. მცირე ჯგუფების ენების სწავლების ვალდებულებების მიღმა, რომელიც თავის დროზე სახელმწიფოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო, მათი კულტურული თვითმყოფადობის დაცვისა და მრავალფეროვან მუნიციპალიტეტებში ინკლუზიური კულტურული გარემოს შექმნის მცდელობები უფრო შორს არ მიდის. წინამდებარე კვლევის მიზანი ამ რეალობის დეტალური აღწერა და გადაწყვეტილების მიმღები უწყებების, ასევე, განვითარების პროექტების განმახორციელებელი აქტორებისთვის ამ ჯგუფების საჭიროებების, წუხილებისა და ინტერესების ჩვენებაა.

ავარული თემის საჭიროებების მიმოხილვა

ზოგადი კონტექსტის აღწერა

გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

ჩანტლისყურე, თივი და სარუსო ყვარლის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან, საშუალოდ, 15 კილომეტრით, ხოლო ერთმანეთისგან, მხოლოდ რამდენიმე კილომეტრით დაშორებული სოფლებია. სოფლებს არ ემსახურება საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც მათ მუნიციპალიტეტის ცენტრთან დააკავშირებდა. ყოველდღიური საჭიროებებისათვის, ადგილობრივი მცხოვრებლები უფრო ახლოს მდებარე სოფელ ახალსოფელში დადიან, სადაცმსხვილ მაღაზიებს, აფთიაქებსა და საფინანსო დაწესებულებებთან ერთად, საკვირაო ბაზარიც იმართება, სადაც ვაჭრობენ კიდეც. გადაადგილებისთვის ოჯახები პირად ავტომობილს ან ტაქსის იყენებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ავარული სოფლები ერთმანეთის გვერდით მდებარეობს, აქ მცხოვრებ თემებს ერთმანეთისგან განსხვავებული ცხოვრების წესი და საქმიანობის ფორმები აქვთ. მათი ინტეგრაციის ხარისხი და მუნიციპალიტეტის ცენტრთან კავშირიც განსხვავებულია. თუმცა

[3] რეკომენდაციები მრჩეველთა კომიტეტის 2019 წლის ანგარიშიდან. https://rm.coe.int/3rd-op-georgia-en/1680969b56 პარა. 50-54.

სამივე სოფლის მოსახლეობას, დაღესტანთან მჭიდრო ნათესაური კავშირები და ოჯახური ურთიერთობები აერთიანებს.

2014 წლის საყოველთაო აღწერით, ავარების[4] რაოდენობა საქართველოში სამი ათასს უტოლდება. თემის რელიგია სუნიტური ისლამია. ისინი ერთმანეთში სხვადასხვა დიალექტზე საუბრობენ, მაგრამ სამივე სოფლის მცხოვრებლებმა იციან ავარული ენა, რომლის სწავლებასაც თივის, ჩანტლისყურისა და სარუსოს საჯარო სკოლებში კვირაში ორი საათი ეთმობა. თემის წარმომადგენლების უმრავლესობა ასევე კარგად ფლობს ქართულ და რუსულ ენებს.[5]

ისტორიული კონტექსტი და ამჟამინდელი ყოველდღიურობა

ავარები, მე-19 საუკუნის კავკასიური ომების შედეგად, დაღესტნიდან გადმოსახლებული ეთნიკურად არაერთგვაროვანი თემია. მე-20 საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომმა გადმოსახლების მეორე ტალღა გამოიწვია. 1990-იან წლებში, ავარული თემის მიმართ გაკეთებულმა შოვინისტურმა განცხადებებმა ეთნიკურ ნიადაგზე დაძაბული კონტექსტი შექმნა. უხუცესი რესპონდენტები ინტერვიუებში იხსენებენ, რომ იმ პერიოდში, ხელისუფლება, აქტიურად ცდილობდა სოფლების ავარებისგან დაცლასა და იქ ქართული ოჯახების ჩასახლებას. ამ მიზნით, მათ გარკვეულ თანხას სთავაზობდნენ და ამასთანავე, საცხოვრებლად რთულ პირობებსაც (სოფლების შესასვლელების ბლოკადა, სურსათის შეტანის დაუშვებლობა და ა.შ.) უქმნიდნენ. თივის ერთ-ერთი მცხოვრები იხსენებს: *„გამსახურდიას დროს, ყველაფერი ჩაკეტილი იყო, პიკეტი იყო, მანქანაზე არ გვსვამდნენ, პური არ იყო. სოფლის შესასვლელში იდგა 20 მანქანა და არ გვიშვებდნენ. უნდა წახვიდეთო. ზოგი წავიდა. ერთხელ ახალსოფელში წავედით პურისთვის, გზაზე დაგვხვდნენ და წაგვართვეს ყველაფერი. იმ დროს ბევრი წავიდა. თხილწყარო მთლიანად გაქრა, სულ ქართველები არიან დასახლებულები ახლა იქ“.*

შექმნილ სიტუაციაში, თემის ნაწილმა დატოვა საქართველო და საცხოვრებლად დაღესტანში გადავიდა, თუმცა, კავშირს საქართველოსთან დღემდე ინარჩუნებენ. საგულისხმოა, რომ სეზონური და დროებითი მიგრაციის შემთხვევები თემში საბჭოთა კავშირის პერიოდშიც ხშირი იყო, თუმცა საცხოვრებელი ადგილების სამუდამოდ დატოვების ტენდენციამ 1990-იანები წლების ბოლოდან იჩინა თავი. ავარული მოსახლეობის მიგრაციაზე მეტყველებს საყოველთაო აღწერის მონაცემებიც.

1989 წლის მონაცემებით, საქართველოში 4230 ავარი ცხოვრობდა. 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაყრდნობით, მათი რაოდენობა ნახევარზე მეტად შემცირდა და 1996-ს შეადგენდა. 2014 წლის მონაცემებით კი, ავარების რაოდენობა 2000-იანი წლების დასაწყისის შემდეგ გაიზარდა და როგორც ზემოთ აღინიშნა, 3 000-ს შეადგენს.[6]

---

[4] სოციალური სამართლიანობის ცენტრის შენიშვნა: ავარები საკუთარ თავს ავარებად, ხოლო თავიანთ საერთო ენას ავარულს უწოდებენ. თუმცა ქართულ აკადემიურ ლიტერატურაში, ასევე გამოიყენება ხუნძი ხალხი და ენა, რაც არ ასახავს თემის შიგნით სიჭრელეს. გარდა ამისა, ისინი მოიხსენიებიან ლეკების სახელით, ამ დასახელებაზე ავარებს არ აქვთ პრობლემა. კვლევის მიზნებისათვის შევარჩიეთ სახელდება, რომელსაც თავად თემი იყენებს - ავარები, ხოლო ენის შემთხვევაში - ავარული ენა.

[5] ქართველი ავარელები., გია ნოდია., გვ. 4.

[6] ეთნოსები საქართველოში., ისტორიული ნარკვევი., საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა., 2008; გვ. 153; ქართველი ავარელები., გია ნოდია., გვ. 4.

მიუხედავად იმისა, რომ დაღესტანთან ძლიერი ეკონომიკური და ოჯახური კავშირები აქვთ, თემის წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავენ, რომ ეს გარემო მათთვის მშობლიურია. დაღესტანში მიგრაციაში წასული მოსახლეობა კი, წელიწადში ერთხელ მაინც აუცილებლად ჩადის სოფლებში. ზაფხულობით სოფლის დღესასწაული და ჭიდაობის ტრადიციული თამაშები, თემს განსაკუთრებით აერთიანებს.

ავარების ყოველდღიურობა დღეს

ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, ცენტრის მიერ 90-იან წლებში გატარებულ პოლიტიკას თემებს შორის ურთიერთობა არ შეუცვლია და იმდროინდელი ხელისუფლების ნეგატიური აღქმები და მოლოდინები ეთნიკურ უმცირესობებზე, ეთნიკურ ნიადაგზე სიძულვილში არ გადაზრდილა.

მოსახლეობის თქმით, მიმდებარე სოფლები ერთმანეთთან მშვიდობიანად თანაცხოვრობენ, თუმცა საერთო გადაკვეთის სივრცე და გაზიარებული პრაქტიკა ბევრი არ აქვთ. საერთო შეხვედრის ძირითადი ადგილი ახალსოფლის ბაზარია. ხშირად, მიწაზე სამუშაოებისა და მოსავლის აღების დროს, ანაზღაურების სანაცვლოდ, დახმარებას სთხოვენ ერთმანეთს. ერთმანეთს ხვდებიან სოფლის ტრადიციულ დღესასწაულებზეც. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნავს, რომ ასეთი დღესასწაული ბევრი არ აქვთ და თემები უმეტესად ერთმანეთისგან იზოლირებულები არიან. ის ახალგაზრდები, რომლებიც სკოლის ბოლო საფეხურს აგრძელებენ, ახალსოფლის სკოლაში ქართველებთან და უდიებთან ერთად, შერეულად სწავლობენ, თუმცა როგორც თვითონ აღნიშნავენ, გარდა სკოლისა, სოციალიზაციის, კულტურული მიმოცვლის ადგილები და არაფორმალური განათლების სივრცეები მათ არ გააჩნიათ. სოფლებს შორის შერეული ქორწინება იშვიათია, თუმცა რესპონდენტები ასეთ შემთხვევებსაც იხსენებენ.

სოფელ თივის მოსახლეობის უმეტესობა ხანდაზმულ ასაკს მიღწეული ადამიანები არიან. ძირითად შემოსავლის წყაროდ, მოსახლეობის უმრავლესობა, საზღვარგარეთიდან შემოსულ ფულად რესურსებს ასახელებს. სოფელ სარუსოშიც, ხშირია ახალგაზრდების დაღესტანში შრომითი მიგრაციისა და იქიდან ოჯახისათვის ფულის გამოგზავნის შემთხვევები. არის ევროკავშირის ქვეყნებში სამუშაოს საძებნელად წასვლის შემთხვევებიც.

ჩანტლისყურეში ძირითადად მესაქონლეობასა და მებოსტნეობას მისდევენ. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩანტლისყურეში მცხოვრებმა ავარულმა თემმა მოახერხა სასოფლო-სამეურნეო მიწების თავიანთ საკუთრებაში გადაფორმება, რაც გართულდა თივსა და სარუსოში მცხოვრები ოჯახებისთვის. შესაბამისად, მათ უფრო მეტად მიუწვდებათ ხელი მესაქონლეობისა და აგროკულტურების განვითარებაზე. სარუსოში, შემოსავლის ძირითად წყაროდ, ახალგაზრდები კერძო და სეზონურ სამუშაოებს ასახელებენ. სარუსოში ასევე ხშირია დაღესტანში მიგრაციის შედეგად მიღებული შემოსავლის შემთხვევები.

ავარულ თემში გამოვლენილი საჭიროებები

თემის სიმცირის გამო ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან რეაგირების ნაკლებობა: სოფელ თივის, ჩანტლისყურისა და სარუსოს მოსახლეობა თანასწორობის პრინციპის შემლახავ პრობლემად მოიაზრებს არასათანადო ყურადღებას, რასაც მათ მიმართ იჩენს ადგილობრივი თვითმმართველობა. მოსახლეობის აზრით, ავარების სოფლებს მხოლოდ იმიტომ არ ექცევა ყურადღება, რომ ისინი მცირერიცხოვანნი არიან. შესაბამისად, დიდი სოფლებისგან განსხვავებით, სადაც, პოტენციურად, არჩევნებისათვის მეტი ხმის მოპოვების შესაძლებლობაა, მათი წუხილების მოსმენა და საჭიროებების გათვალისწინება, აქ მნიშვნელოვანი არ არის. ბაზისური საცხოვრებელი პირობების დაკმაყოფილებისათვის მათ უწევთ მრავალჯერ მიმართონ მუნიციპალიტეტს, რომელიც, ძირითადად, დაპირებებით შემოიფარგლება. აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ავარებს წარმომადგენლები არ ჰყავთ, ისინი ასევე არ არიან დასაქმებულნი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე.

პოლიტიკური პროცესებისა და ადვოკატირების მიმართ უნდობლობა: სოფლებში ერთ-ერთ გამოწვევად იკვეთება უნდობლობა სახელმწიფო წარმომადგენლების ან თემის საჭიროებებზე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციის ვიზიტების მიმართ. თივში, ჩანტლისყურესა და სარუსოში გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მათ საჭიროებებზე ლაპარაკით აქამდე არაფერი მოგვარებულა და არც იმის იმედი აქვთ, რომ მომავალში რამე შეიცვლება. მათივე თქმით, მხოლოდ გავლენიან ადამიანებთან დაახლოებული პირები ახერხებენ თავიანთი ხმის მიტანას გადაწყვეტილების მიმღებ პირამდე, რიგითი მოქალაქეებისთვის კი, ეს რთულია.

მუნიციპალიტეტის ცენტრისგან იზოლაცია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა: ავარულ სოფლებში, მოსახლეობისთვის მუნიციპალიტეტის ცენტრამდე გადაადგილება დიდი პრობლემაა. სოფელ თივში, ხანდაზმულ ადამიანებს, უტრანსპორტობის პირობებში ძალიან უჭირთ კუთვნილი პენსიის აღება. ამის გამო, იძულებულები არიან ტაქსის მომსახურებით ისარგებლონ, რაც ძალიან ძვირი ჯდება, განსაკუთრებით, მძიმე ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით. გარდა ამისა, როგორც თივში, ისე სარუსოსა და ჩანტლისყურეშიც, ავტომობილის ან ტაქსის გარეშე ყოფნა, ფაქტობრივად, სახელმწიფო სერვისების მიღმა დარჩენას გულისხმობს. იზოლაციაში დარჩენილი მოსახლეობისთვის რთულია ინფორმაციის მიღება სახელმწიფო სერვისებზე, სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე. აღსანიშნავია, რომ სოფელ თივსა და სარუსოში არ არის გაყვანილი ინტერნეტი, რაც კიდევ უფრო ართულებს ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა: წყლის პრობლემა განსაკუთრებით აწუხებს თივის მოსახლეობას, სადაც სასმელ წყალს რამდენიმე წელია ტაქსებით ეზიდებიან სხვა სოფლებიდან. სოფელ სარუსოსა და ჩანტლისყურეში უწყლობის პრობლემა არ დგას. თივის მოსახლეობასთან საუბარში ირკვევა, რომ ამ საკითხზე, უკვე წლებია, წერენ განცხადებებს, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობა მხოლოდ დაპირებებით შემოიფარგლება. გარდა უწყლობის პრობლემისა, სარწყავი არხებიც დაბინძურებულია. მოსახლეობის თქმით, მუნიციპალიტეტიდან ჰქონდათ დაპირება, რომ 2023 წლისთვის ორივე პრობლემა მოგვარდებოდა და ბიუჯეტშიც გაითვალისწინებდნენ ამ საჭიროებებს, თუმცა კვლავ მოლოდინის რეჟიმში არიან. უწყლობა სოფელში სამეურნეო სამუშაოებსაც აფერხებს.

სკოლამდელი განათლების დაწესებულების არარსებობა: სოფლის უხუცესის თქმით, სოფელ ჩანტლისყურეში ბაღის ასაკის 64 ბავშვი ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობამ ადგილობრივ ორგანოებს, ბაღის აშენების მოთხოვნით რამდენჯერმე მიმართა, სოფელში, ჯერჯერობით, მხოლოდ სკოლის შენობაში მოქმედი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა. ბაღის არარსებობა განსაკუთრებით პრობლემურია იმ პირობებში, რომ ბავშვებისათვის ქართული ენა მეორე ენად განიხილება, ოჯახებში კი მათ ავარულ დიალექტზე ესაუბრებიან. სკოლამდელი განათლებისა და, მათ შორის, ამ საფეხურზე ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობის გამოტოვების გამო, ბავშვებს სკოლის საბაზო საფეხურზე უწევთ ქართულ ენაზე სწავლის სირთულეების დაძლევა.[7] ბაღის არარსებობა ასევე უშლის ხელს ქალებს, ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ვერც სეზონურ სამუშაოებზე ახერხებენ დასაქმებას, რაც ხშირად ოჯახების შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. სოფლის უხუცესთან საუბრისას ასევე გაირკვა, რომ ამ საკითხს ხშირად აყენებენ უხუცესების კრებაზე, რომელსაც წელიწადში სამჯერ იწვევს მუნიციპალიტეტი და რამდენიმე სოფელს აერთიანებს. 2023 წელს, ავარულ სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრისას ბაღის საკითხი შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის წინაშეც დააყენეს. ბაღის საკითხზე წუხს თივის მოსახლეობაც, სადაც, მართალია, შედარებით ცოტა ბავშვია, თუმცა ისინი ადგილობრივი თვითმმართველობისგან ტრანსპორტირების უზრუნველყოფას მოითხოვენ, რათა ბავშვები მეზობელი სოფლის ბაღში მაინც ატარონ.

მოქალაქეობის საკითხი: ავარული თემის დიდ ნაწილს ოჯახური და ნათესაური კავშირები აქვს დაღესტანში. ბევრ მათგანს განათლება მაჰაჩყალა აქვს მიღებული, ბევრი მათგანის ოჯახის წევრი იქ ცხოვრობს და შესაბამის ფინანსურ დახმარებას უწევს აქ დარჩენილ ოჯახის წევრებს. სოფელ თივის მოსახლეობის თქმით, მათი ნათესავებისა და მეზობლების ნაწილი, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა. მათგან, მხოლოდ ერთეულებს აქვთ ორმაგი მოქალაქეობა, უმეტესად კი, საქართველოსთან მიმართებით სამართლებრივი სტატუსი არ გააჩნიათ. ამ ფონზე, მათ საშუალება არ აქვთ ისარგებლონ საქართველოს სახელმწიფო სერვისებით, მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვით, სოციალური დახმარებითა და საპენსიო პროგრამებით. დაღესტანში, ოჯახური და ნათესაური კავშირების ფონზე, ისინი ასევე ვერ ამბობენ უარს რუსეთის მოქალაქეობაზე, რაც საქართველოს მოქალაქეობის მიღების კანონმდებლობით გათვალისწინებული გზაა,[8] გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირმა საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგა. ასეთ დროს, პირს საშუალება აქვს, საქართველოს მოქალაქეობა, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის დათმობის გარეშე მოითხოვოს.[9]

---

[7] მნიშვნელოვანია, რომ ავარების თემში, ისევე როგორც საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების შემთხვევაში, არსებობდეს ბილინგვური განათლების მიღების შესაძლებლობა, როგორც სკოლამდელ, ასევე სასკოლო პერიოდში. სახელმწიფოს მიერ, მცირე ეთნიკური ჯგუფისთვის განათლების უფლების ამგვარი რეალიზაცია მნიშვნელოვნად დაეხმარება ბავშვს, ბაღის ასაკიდანვე მარტივად აითვისოს სახელმწიფო ენა, რაც თემის წევრთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა და საჭიროებაა და ამასთანავე, ხელს შეუწყობს ავარული ენის განვითარებას და, სამომავლოდ, ენა გაქრობის საფრთხის წინაშე არ დადგება. განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უფლება, ყველა ეთნიკური ჯგუფის უფლებაა, ხოლო ბილინგვური სწავლების მექანიზმი, საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, ყველაზე უკეთ უწყობს ხელს ამ უფლების სრულყოფილ რეალიზაციას.

[8] მე-17 მუხლი., საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეობის შესახებ.

[9] იქვე. 32(2)-ე მუხლის მე-4 პუნქტი. აღსანიშნავია, რომ ამ უფლების უზრუნველსაყოფად პირმა განცხადება 2024 წლის 31 დეკემბრამდე უნდა წარადგინოს.

რამდენიმე რესპონდენტმა სოფელ თივში აღნიშნა, რომ მათ წლების წინ შეუწყვიტეს საქართველოს მოქალაქეობა, ზოგმა განცხადების საფუძველზე მოითხოვა კიდეც მოქალაქეობის აღდგენა, თუმცა უარი მიიღო. ზუსტად, რა მუხლით და საფუძვლით ეთქვათ უარი, ამის შესახებ ინფორმირებულები არ არიან. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობას ნაკლებად მიუწვდება ხელი ამგვარ ინფორმაციაზე. ზოგიერთები ამბობენ, რომ სახელმწიფო და ადგილობრივ სტრუქტურებში ინფორმაციას კონკრეტული სამართლებრივი პროცედურების შესახებ, გაუგებრად აწვდიან.

ინტერვიუებზე დაყრდნობით, ასევე ირკვევა, რომ ისინი, ვისაც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობა აქვთ, საზღვარზე ცალმხრივი მიმოსვლის ფონზე, წლების განმავლობაში ვერ ახერხებდნენ დაღესტანში ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების მონახულებას.

ამბულატორიისა და ექიმის პრობლემა: სოფელ თივში, მოსახლეობა, ერთ-ერთ პრობლემად განიხილავს ამბულატორიის საკითხს, რომელიც, წლებია, აწუხებს. თივის მოსახლეობამ ექიმთან დაკავშირებით რამდენჯერმე შეიტანა განცხადება ადგილობრივ ორგანოში, თუმცა პასუხი არ მიუღიათ. ექიმის საკითხი პრობლემურია სოფელ სარუსოშიც. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა კმაყოფილია სასწრაფო დახმარების სახელმწიფო სერვისით, სოფლის ექიმის არყოლა, იმისათვის, რათა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა შეძლონ, მათთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. განსაკუთრებით პრობლემურია ეს თემა ხანდაზმულებისთვის, რომლებიც, საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობის პირობებში, პენსიის აღებასთან ერთად, სამედიცინო მომსახურებით შეუზღუდავ სარგებლობასაც არიან მოკლებულნი.

სოფლის მიწები და საძოვრები: ავარულ თემში ყველაზე ხშირად სახელდება სოფლის მიწებთან და საძოვრებთან დაკავშირებული პრობლემა. სოფლის მიწების დიდი ნაწილი 90-იან წლებში ინდივიდუალურ საკუთრებაში გადავიდა. სოფელ თივსა და სარუსოში მცხოვრები მოსახლეობის თქმით, იმდრონდელი ხელისუფლების პოლიტიკის ფონზე, მიწების საკუთრებაში გადაცემისას, ავარული ოჯახები არ გაუთვალისწინებიათ.

ჩანტლისყურეში მცხოვრებ თემის წევრებთან გასაუბრებისას, ნაწილმა აღნიშნა, რომ დანარჩენი ორი სოფელი საბჭოთა კავშირის დროს, ძირითადად ვაჭრობით იყო დაკავებული. შესაბამისად, მიწასთან საქმიანობა, ჩანტლისყურეში მცხოვრებ თემთან შედარებით, მათთვის თავიდანვე უცხო იყო. მათი აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საერთო სამეურნეო მიწების საკუთრებაში გადაცემის საკითხი ყველაზე მეტად სოფელ ჩანტლისყურეში მცხოვრები ეთნიკური ავარებისათვის იყო პრიორიტეტული. თუმცა სოფელ თივის უხუცესი მცხოვრებლები, ინტერვიუებში იხსენებენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში მიწების გადანაწილებასთან დაკავშირებით წამოჭრილ დაძაბულობას ქართულ და ავარულ თემებს შორის. ერთ-ერთი, თავის პირად გამოცდილებაზეც გვესაუბრა და თქვა, რომ დიდი ძალისხმევის შედეგად მოახერხა საერთო მიწის ნაწილის დასაკუთრება. თივის მოსახლეობა ასევე აღნიშნავს, რომ სოფელში, საძოვრების საკითხი დღემდე პრობლემურია. საქონელი, შედარებით ნაკლები რაოდენობით, თივშიც ჰყავთ და ის საძოვრები, რომლითაც სარგებლობენ, როგორც თვითონ ამბობენ, „კბილებით უჭირავთ“. ისინი ასევე ელიან მიწის სისტემურ რეგისტრაციას, რათა ეს ტერიტორია სამართლებრივ ჩარჩოებში გადაეცეს საკუთრებაში თივის მოსახლეობას.

მოსახლეობის აზრით, მაშინ მიწები უსამართლოდ გადანაწილდა. მიუხედავად იმისა, რომ 90-იანი წლების დაძაბულობა მალე დასრულდა, მან, თემი, ხანგრძლივ დროის ინტერვალში, საბაზო საჭიროებების წინაშე დააყენა. ბევრმა ავარულმა ოჯახმა დატოვა სოფლები. სოფელ თივთან ახლოს მდებარე სოფელი თხილწყარო კი, სრულად დაიცალა. ხოლო, მიწები, რომლებიც უკვე მისაკუთრებული იყო, დაძაბული პერიოდის დასრულების შემდეგ, ვეღარ დაიბრუნეს.

ასეთივე მძიმე მდგომარეობაა საძოვრებთან დაკავშირებითაც სოფელ ჩანტლისყურეში მცხოვრებ ავარულ თემში. აქაც თავს იჩენს მოსახლეობის ჩართულობის და მათი აზრის უგულებელყოფის საკითხი. მოსახლეობა აცხადებს, რომ საძოვრები ისე გაასხვისეს, მოსახლეობისთვის არაფერი უკითხავთ. დღესდღეობით, 22 ჰექტარი საძოვარი მიწა კერძო მესაკუთრეს, 2017 წელს აღიარებითი კომისიის რეგისტრაციით გადაეცა. აღსანიშნავია, რომ ეს მიწა 2012 წლამდეც გასხვისებული იყო და საკუთრების უფლების რეგისტრაციის გარეშე შემოღობილი. 2012 წლის შემდეგ, მოსახლეობის თქმით, ღობე მოხსნეს და სოფელს საძოვრის გამოყენების შესაძლებლობა მიეცა, თუმცა 2017 წლიდან მიწით კვლავ ვეღარ სარგებლობენ. ამ საკითხთან დაკავშირებით სოფელმა რამდენჯერმე მიმართა ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, თუმცა მათ მიმართვას რეაგირება არ მოჰყოლია.

სოციალური საკითხები და უმუშევრობა: თივში, ჩანტლისყურესა და სარუსოში, ყველაზე ხშირად უმუშევრობასა და სოციალურ პრობლემებზე საუბრობენ. სოფლებში ძირითადად სკოლის საბაზო საფეხურს, მე-9 კლასს ამთავრებენ. ახალგაზრდების ნაწილი, საშუალო სკოლას ახლოს მდებარე სოფელ ახალსოფელში ამთავრებს. თუმცა, ხშირად, ოჯახები ერიდებიან გოგონების ყოველდღიურად სხვა სოფელში გადასვლას, რის გამოც, ზოგი მათგანი, სურვილის მიუხედავად, საშუალო საფეხურის განათლების გარეშე რჩება. უფრო ცოტაა ისეთი, ვინც უმაღლესი განათლების მისაღებად უნივერსიტეტში აბარებს. ახალგაზრდების ნაწილი იქვე არსებულ პროფესიულ სასწავლებელში ეუფლება კონკრეტულ პროფესიას. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, ვერ ხედავს უმაღლესი განათლების დამთავრების შემდგომ პერსპექტივას. შესაბამისად, ბევრი არჩევს, სოფელში დარჩეს, ოჯახი შექმნას და სოფლის მეურნეობაში ჩაებას. ახალგაზრდები, რომლებიც უმაღლეს განათლებას თბილისში ეუფლებიან, სოფელში დაბრუნების სურვილს გამოთქვამენ, თუმცა, უპერსპექტივობისა და უმუშევრობის ფონზე, კონკრეტული გეგმების დასახვა რთულად წარმოუდგენიათ. სოფლებიდან ახალგაზრდების გადინება, განსაკუთრებით დიდი პრობლემაა სოფელ თივისათვის, სადაც ძირითადად ხანდაზმულები ცხოვრობენ. სოფელი ცარიელდება და მისი განვითარების ინტერესიც სულ უფრო მცირდება.

სოფელ თივსა და სარუსოში შემოსავლის ძირითადი წყარო სეზონური, კერძო დამქირავებლის მიერ შემოთავაზებული სამუშაოები და ოჯახის წევრების მიერ საზღვარგარეთიდან (ძირითადად, რუსეთის ფედერაციიდან) გამოგზავნილი თანხებია. ამ სოფლებში ავარული თემის წარმომადგენლებს საკუთრებაში თითქმის არ აქვთ მიწები გადაცემული. სოფელ ჩანტლისყურეში, ამ მხრივ, განსხვავებული სიტუაციაა, რადგან უფრო მეტ ოჯახს აქვს საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთები, რომლებსაც მესაქონლეობისა და სხვადასხვა მეურნეობისთვის იყენებენ.

ქალებისათვის განათლების უფლების შეზღუდვა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ფონზე: გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნაკლებად მონაწილეობენ. ავარულ სოფლებში, ჯერ კიდევ გავრცელებულია გოგონების აზრის

გაუთვალისწინებლად ქორწინება. ზოგ შემთხვევაში, თავად ქალებიც ფიქრობენ, რომ უპერსპექტივობისა და უმუშევრობის პირობებში, ოჯახის შექმნა მათთვის ერთადერთი იმედია და ყველაზე ღირებული, რაც კი ასეთ დროს შეიძლება ახალგაზრდამ გააკეთოს. არის შემთხვევები, როდესაც გოგონებს სწავლის გაგრძელება სურთ, თუმცა რადგან უკვე დანიშნულები არიან და ოჯახი ან საქმრო წინააღმდეგია, ამას ვერ ახერხებენ. ხშირად, ეს სოციალურ-ეკონომიკური პირობებითაც არის გამოწვეული. სოფელ თივიში მცხოვრები გოგონები, სკოლის დამთავრების შემდეგ, უფრო ხშირად განაგრძობენ სწავლას, ვიდრე ჩანტლისყურესა და სარუსოში მცხოვრები გოგონები. მათი ძირითადი ნაწილი თბილისში სწავლობს, თუმცა ავარულ თემში, ხშირია სწავლის რუსეთში გაგრძელების შემთხვევაც.

ქალების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას აბრკოლებს სოფლებში საბავშვო ბაღების უქონლობა ან უტრანსპორტობა. ხშირად კი, კერძო სამუშაოებზე ქალების დასაქმება, ოჯახისთვის შემოსავლის აუცილებელი წყაროა, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას.

სამლოცველოს საკითხი: სოფლებში მეჩეთების აშენებასა და მათ მოვლა-პატრონობაზე ძირითადად მოსახლეობა ზრუნავს. სოფელ სარუსოში მეჩეთი დაღესტანში მცხოვრებმა თემის წარმომადგენელმა ააშენა. მეჩეთი სახელმწიფო ბალანსზე არ არის, რაც ერთ-ერთ გამოწვევად სახელდება, როდესაც მოსახლეობა მუნიციპალიტეტს მის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით სახსრების გამოყოფის თხოვნით მიმართავს. შესაბამისად, სოფელი თავად ცდილობს თანხების მობილიზებას. სოფელში მეჩეთი შეკრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია, სადაც ხშირად სოფლის შიდა საქმეებიც გვარდება. სოფელ ჩანტლისყურეს მოსახლეობა ასევე აღნიშნავს, რომ სამლოცველოს მოვლა-პატრონობის მიზნით, უფრო მეტად სოფლის მცხოვრებლები კრეფენ ფულს და ისე უვლიან. ამბობენ, რომ ხანდახან მუნიციპალიტეტიც ეხმარებათ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის და მაინც უწევთ საკუთარი რესურსების მობილიზება.

ავარული ენის წახალისება და კულტურის შენარჩუნება: მოსახლეობა მიიჩნევს, რომ სკოლაში გამოყოფილი ერთი საათი ავარული ენის კარგად ასათვისებლად საკმარისი არ არის. პრობლემურია ავარული ენის სახელმძღვანელოების არარსებობაც. თემი თავად ცდილობს შეაგროვოს დაღესტანში გამოცემული სახელმძღვანელოები, რაც ასევე გართულებულია, რადგან მათი საზღვარზე გადმოტანა ბიუროკრატიულ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

დღესასწაულებს, თემი, როგორც წესი, თვითორგანიზებით აღნიშნავს. საკუთარი სახსრებით ცდილობენ შეინარჩუნონ სოფლების ტრადიციები, რელიგიური თუ საერო ხასიათის ღონისძიებები. თუმცა, სოფელ თივში, აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტიდან გარკვეულ ფინანსურ დახმარებას უწევენ ჭიდაობის დღეს, რომელიც ავარული მოსახლეობისათვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავშეყრის დღეა. სპეციალურად ამ დღისთვის საზღვარგარეთ მცხოვრები ავარებიც ჩადიან სოფლებში და ღონისძიებაში მონაწილეობენ.

შიდა გზების პრობლემა: ავარულ სოფლებში შიდა გზები მძიმე მდგომარეობაშია. მიუხედავად იმისა, რომ სოფლების მოსახლეობამ, სხვადასხვა პლატფორმის მეშვეობით, მათ შორის, სოფლის უხუცესების კრებებზე, ბევრჯერ წამოჭრა ეს საკითხი, გზების პრობლემა არცერთ სოფელში არ მოგვარებულა. მოსახლეობის თქმით, არის შემთხვევები, როდესაც ტაქსი ბოლომდე არ მიდის სოფლებში, რადგან შიდა გზებზე სიარულს ერიდება. იმის გათვალისწინებით კი, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი სოფლებში არ დადის, თემის

მუნიციპალიტეტის ცენტრისგან იზოლაციისა და ინფორმაციის ხელმისწავდომობის პრობლემა იქმნება.

გარე განათების არარსებობა: სოფლების ზოგიერთ უბანში არ არის გარე განათება, რაც მოსახლეობაში უსაფრთხოების განცდას ასუსტებს. განსაკუთრებით მაშინ, თუ ოჯახს საქონელი ჰყავს, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ტყიდან ტურები ჩამოდიან. მოსახლეობამ ასევე მიმართა ადგილობრივ ორგანოებს ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, თუმცა ზოგ უბანში, პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

ახალგაზრდული საჭიროებები: ჩანტლისყურეში დიდი ხანია ახალგაზრდები სპორტულ დარბაზს ითხოვენ, თუმცა უშედეგოდ. სოფელ თივში, ერთ-ერთი ახალგაზრდა აღნიშნავს, რომ სკოლის პერიოდში, სოფელში ახალგაზრდული ცენტრის არარსებობის გამო, მოსწავლეები ახალსოფლის ახალგაზრდულ ცენტრში ერთვებოდნენ სხვადასხვა აქტივობაში. თუმცა სოფელი საკმაოდ შორს არის და სიარული არც ისე უსაფრთხოა, შესაბამისად, მათი ჩართულობა ახალსოფლის ახალგაზრდული ცენტრის პროექტებში შეზღუდული იყო. ამგვარი ცენტრი არც ჩანტლისყურესა და სარუსოში აქვთ.

უდიური თემის საჭიროებები

ზოგადი კონტექსტის აღწერა

უდიები კავავკასიის ერთ-ერთი უძველესი ეთნიკური ჯგუფია. ისინი 1920-1922 წლებში აზერბაიჯანის სოფელ ვართაშნიდან დევნისა და თავდასხმების გამო გადმოსახლდნენ. უდიური თემის წარმომადგენლები მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, თუმცა არიან ნიჯელნი უდიებიც, რომლებიც სომხურ ეკლესიას მიეკუთვნებიან. უდიების შესახებ ცნობები ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ წყაროებში მოიპოვება. ამ წყაროზზე დაყრდნობით რამდენიმე ავტორი ასკვნის, რომ უდიები კავკასიელი ალბანელების შთამომავლები არიან.[10] უდიების საქართველოში გადმოსახლებას ზინობ სილიკაშვილი ხელმძღვანელობდა. მის გამო დაერქვა სოფელს ზინობიანი, თუმცა 1937 წლის შემდგომ, ზინობიანს ოქტომბერი დაარქვეს, თავად ზინობი სილიკაშვილი კი, რეპრესიებს ემსხვერპლა.

მცირერიცხოვნობის მიუხედავად, უდიებმა მაინც შეძლეს ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნება. თემი თვითორგანიზებული და აქტიურია კულტურის, ტრადიციებისა და ენის შენარჩუნების თვალსაზრისით. სოფელში არის ახლად გახსნილი მუზეუმი, სადაც სტუმარს წარმოდგენა ექმნება უდიურ იდენტობასა და გადმოსახლების ისტორიაზე. ასევე არის საოჯახო სასტუმრო, რომელიც დიდ როლს ასრულებს სოფელში ტურიზმის განვითარებასა და უდიური თემის ცნობადობის გაზრდაში. უდიების მშობლიური ენა - უდიური - გაქრობის პირასაა. მათი პირველი ენა ძირითადად ქართულია, შესაბამისად, ახლომდებარე ქართულ სოფლებთან ინტეგრაციის საკითხი თემში უფრო ნაკლებად დგას, ვიდრე ეს სხვა ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაშია.[11]

---

[10] სახალხო დამცველის ნაშრომი.

[11] იქვე.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, სოფელ ზინობიანში 337 უდი ცხოვრობს, მთელი ქვეყნის მასშტაბით კი, სულ 900-მდე.

სოფელი ზინობიანი ყვარლის მუნიციპალიტეტის ცენტრისგან 13 კილომეტრით არის დაშორებული. სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავს მევენახეობით, მესაქონლეობით, მებოსტნეობით, ბაზარში პროდუქციის გაყიდვითა და კერძო სამუშაოებზე დასაქმებით ირჩენს თავს. უდიურ თემს მჭიდრო კავშირები აქვს ქართველებთან, ხშირია შერეული ოჯახებიც. ასევე, სოფლის მცხოვრებლები ხშირად მიდიან საზღვარგარეთ სამუშაოდ, რის შედეგადაც სოფელი და თემი დროდადრო ცარიელდება.

უდიურ თემში გამოვლენილი საჭიროებები

იდენტობის შენარჩუნება და ხილვადობა: უდიურ თემში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა თემის საზოგადოებაში ხილვადობაა. გამომდინარე იქიდან, რომ უდიების პირველი ენა ქართულია, ახლომდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვისაც კი, ხანდახან რთულია მათი განსხვავებული იდენტობის დანახვა. უდიურ იდენტობაზე ღია საუბარი, ბოლო პერიოდია, რაც დაიწყეს, როდესაც თემით დაინტერესებული პირებისა და მკვლევრებისათვის მათი კულტურისა და ტრადიციების შესწავლის სურვილი გაძლიერდა.

დღესდღეობით, უდიური თემი ყველაზე მეტად თვითორგანიზებული მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფია საქართველოში. მათი აქტივიზმის დამსახურებით, სოფელმა ზინობიანმა გზის, ბიბლიოთეკისა და სკვერის მშენებლობისთვის ევროკავშირის დაფინანსება მოიპოვა. თუმცა ახალგაზრდა აქტივისტები წუხილს გამოთქვამენ, რომ უშუალოდ მუნიციპალიტეტი ეფექტიანად არ არის ჩართული თემის კულტურული უფლებების გაძლიერებაში.

უდიური ენის დაკარგვის პრობლემა: მოსახლეობის თქმით, უდიური ენა საფრთხეშია. ახალგაზრდები ამ ენაზე უკვე აღარ საუბრობენ. ბევრმა მათგანმა იცის, თუმცა სალაპარაკოდ, უმეტესად აღარ იყენებენ. გარდა ამისა, სკოლაშიც, უდიურ ენას, ისევე როგორც ავარულს, ცოტა საათი აქვს დათმობილი, რაც საკმარისი არ არის შედეგის მისაღწევად. განათლების სამინისტრომ სახელმძღვანელოებიც შეიმუშავა, რომელიც სკოლაში შევიდა, თუმცა სახელმძღვანელოს სისწორე არავის გადაუმოწმებია, რადგან არავინ იცოდა, ეს როგორ გაეკეთებინა.

დასაქმების საკითხი: უდიურ თემში, ავარულისგან განსხვავებით, მუნიციპალიტეტის ცენტრში დასაქმების შემთხვევებიც უფრო ხშირია. ახალგაზრდები ძირითადად თბილისში არიან წასულები სასწავლებლად. მიუხედავად იმისა, რომ უნდათ სოფელში დაბრუნება, ფიქრობენ, რომ სწავლაში ჩადებული რესურსი და შრომა, სოფლად არ დაუფასდებათ, ამიტომ სოფელში დაბრუნება მათთვის ალტერნატივა არ არის. ამ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ამ სოფელში ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას. ამ კუთხით, თემისთვის საინტერესო სფეროა ტურიზმი და ადგილობრივი ბუნებრივი და კულტურული რესურსების გამოყენება ამ მიმართულებით.

ამბულატორიის და ექიმის პრობლემა: სოფელი ზინობიანი ადმინისტრაციულად გვერდზე მდებარე სოფელ ჭიკაანთან არის გაერთიანებული. საერთო ამბულატორია და ექიმი მათ სოფელ გავაზში ჰყავთ, რომელიც შედარებით შორს, 8 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს და მისასვლელად რთულია. მოსახლეობის თქმით, მისვლის პრობლემა რომც არ იყოს, ექიმი

ხშირად ადგილზე არ ხვდებათ. ასეთ დროს, თემისთვის გამოსავალი მხოლოდ ის არის, რომ ექიმის მიმართვის საფუძველზე, სამედიცინო მომსახურებაზე უარი თქვას და საყოველთაო ჯანდაცვით სარგებლობის უფლების მიუხედავად, სამედიცინო გამოკვლევებში ფული გადაიხადოს. ეს პრობლემა, ყველაზე მეტად თემის ხანდაზმულ წარმომადგენლებს აქვთ, რადგან სოფელში ბევრი ახალგაზრდა არ ცხოვრობს, ხანდაზმულისთვის კი, რომელიც პენსიაზეა დამოკიდებული და ხშირად უწევს ამგვარი პროცედურების ჩატარება, რთული ხდება ჯანდაცვის პროგრამებით ეფექტიანი სარგებლობა.

შიდა გზების პრობლემა: სოფელ ზინობიანში ერთ-ერთი პრობლემაა გზების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტი ცალკე არ ზრუნავს სოფელში გზების მოწესრიგებაზე. ხოლო, ევროკავშირის მიერ გზებისთვის, ბიბლიოთეკისა და სკვერისთვის გამოყოფილი თანხა, სოფლის ყველა უბნის გზების რეაბილიტაციისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. შესაბამისად, რეაბილიტირებული გზის მიღმა უბანში მცხოვრები მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოხატავს.

წყლის პრობლემა: სოფელ ზინობიანში წყალი გრაფიკით მიეწოდებათ, შესაბამისად, ხშირად საჭიროებს გაწმენდასაც. მოსახლეობა ბევრჯერ შეიკრიბა ამ თემაზე სასაუბროდ, ასევე მიუმართავთ ადგილობრივი ორგანოებისთვისაც, თუმცა გამოსავლის ერთადერთ გზად მუნიციპალიტეტი გამრიცხველიანებას ასახელებს. სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის კი, იმ პირობებში, რომ წყალს სარწყავადაც იყენებენ, გამრიცხველიანება არ არის კარგი გამოსავალი.

ტრანსპორტი: გარკვეულწილად საზოგადოებრივი ტრანსპორტი პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა ყვარლის ცენტრიდან სოფელ ზინობიანამდე დღის განმავლობაში მხოლოდ ორი სამარშრუტო დადის, ხანდახან შეიძლება ერთმა აღარ შეასრულოს რეისი და სოფლის მკვიდრმა, ყვარლიდან სოფელში, უკან დაბრუნება ვეღარ შეძლოს.

ქალთა მდგომარეობა: უდიურ თემში ქალებს მეტნაკლებად თანასწორი ურთიერთობა აქვთ. თემის წარმომადგენლებთან საუბრისას არ გამოკვეთილა ისეთი ბარიერები, რომლებიც კონკრეტულად ქალებს სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ აქტივობებში ჩართვაში დააბრკოლებდა. ქალები სოფელში მცხოვრები ყველა მოსახლის მსგავსად აწყდებიან ბარიერებს, რაც ძირითადად ოჯახების მცირე ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და სოფლების სიღარიბეზე მიუთითებს. სოფელ ზინობიანში მცხოვრები ქალები ბევრს შრომობენ შვილებისათვის სწავლის გადასახადის გამოსამუშავებლად და დედაქალაქში სასწავლებლად წასული ახალგაზრდებისთვის სწავლაში ხელის შესაწყობად. ქალები აქტიურად მონაწილეობენ სოფლის კრებებში, უდი ახალგაზრდა ქალები ჩართულები არიან უდიური თემის კულტურის პოპულარიზაციაში, რის შედეგადაც სოფელში დაარსდა საოჯახო სასტუმრო და მუზეუმი, უდიების წარსულსა და საქართველოში ჩამოსახლებაზე.

ახალგაზრდების მონაწილეობა: სოფლის კრებებზე ხშირად არ ისმის ახალგაზრდების ხმა. ბევრი ფიქრობს, რომ მის ხმას აზრი არ აქვს და ყველაფერს ასაკით მასზე უფროსი ადამიანი წყვეტს. ხშირად ასეც არის, ახალგაზრდები ამბობენ, რომ სოფლის კრებაზე მათ მიერ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით აზრის გამოხატვის სურვილი, ხშირად, უფროსი თაობის მხრიდან, სერიოზულად არ აღიქმება.

საერთაშორისო და სამთავრობო შეფასებები საქართველოში მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრებები

ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი, საანგარიშო წლების განმავლობაში, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად, ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობაზეც. მრჩეველთა კომიტეტი საუბრობს **სამედიცინო და სხვა ინფრასტრუქტურული საჭიროებების თანაბარი უზრუნველყოფის აუცილებლობაზე.**[12] კომიტეტი აღნიშნავს, რომ საქართველოში, მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები, ხშირად, ცენტრიდან შორს, სასაზღვრო ზოლზე მდებარე პატარა სოფლებში ცხოვრობენ, რაც კონკრეტულ ჯგუფს ბუნებრივ ბარიერებს უქმნის ბაზისური რესურსებისა და მათ შესახებ ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობაზე.[13]

მრჩეველთა კომიტეტი ასევე საუბრობს მცირერიცხოვანი **ეთნიკური ჯგუფების თვითმყოფადობისა და კულტურის დაცვის აუცილებლობაზე.** კომიტეტის აზრით, მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსები გამოიყოს კონკრეტულად კულტურული აქტივობების დასაფინანსებლად, საზოგადოებაში მათ შესახებ ცნობადობის გასაზრდელად და იდენტობის გასაძლიერებლად.[14] კომიტეტი წუხს, რომ გამოცდილი ორგანიზაციები მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს საკმარისად არ წარმოაჩენენ. შესაბამისად, კონკრეტულად მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების კულტურის, იდენტობისა და ტრადიციების შენარჩუნებაზე, ადგილობრივ დონეზე მომუშავე ორგანიზაციებისათვის დაფინანსების გამოყოფა, შესაძლოა, ამ პროცესზე დადებითად აისახოს.[15]

კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ რეგიონში, უმცირესობებზე მომუშავე რამდენიმე ორგანიზაციისთვის, კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად სახელმწიფო დაფინანსებასა და თანმდევ პროცედურებზე ინფორმაცია, ხელმისაწვდომი არ არის.[16] კულტურის სამინისტროს დაფინანსება ძირითადად უმცირესობების ენაზე გაზეთის ბეჭდვას ხმარდება, ხოლო მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების მიერ ორგანიზებული კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად, თანხა აღარ რჩება.

კომიტეტის აზრით, მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს სახელმწიფო დაფინანსება, რომელიც უმცირესობათა ენებზე გაზეთის რეგულარულ გამოცემას ხმარდება, დაფინანსებისგან, რომელიც კონკრეტულად მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების კულტურული ღონისძიებებისთვის იქნება გამოყოფილი. ამგვარი ღონისძიებები ხელს უწყობს მათი იდენტობის შენარჩუნებასა და საზოგადოებაში ჯგუფების შესახებ ცნობიერების

---

[12] მ-2 მოსაზრება, 2012, საქართველო., 125.
[13] იქვე.
[14] იქვე. 41.
[15] მე-3 მოსაზრება, საქართველო., 54.
[16] იქვე. 41.

ამაღლებას, რასაც სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან სპეციალური ყურადღება სჭირდება.[17]

მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების წასახალისება,უფლებების დაცვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამასთან დაკავშირებით, ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი ახალისებს სახელმწიფოს, მოახდინოს რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირება, რაც დაიცავდა მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენებს, რომლებიც გაქრობის პირასაა და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ.[18] ენების შენარჩუნებისთვის, ასევე მნიშვნელოვანია, მათთვის არა მხოლოდ კონკრეტული საათების დათმობა სკოლის აკადემიური კურიკულუმის ფარგლებში, არამედ, სწავლების ხარისხისა და სახელმძღვანელოების მონიტორინგიც.[19]

მრჩეველთა კომიტეტის აზრით, **მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენებზე ხარისხიანი მედიის არსებობა, ასევე, მათი შესაბამისად გაშუქება მედიაში, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მრავალფეროვანი მედიაგარემოს ჩამოყალიბებას.** საგულისხმოა, **ბეჭდური მედიის გააქტიურების საჭიროებაც და მისი დამატებითი ფინანსური მხარდაჭერაც,** რათა ბეჭდური მედია მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენებზეც იყოს ხელმისაწვდომი.[20]

ენებთან მიმართებით, კომიტეტი, ასევე აღნიშნავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების უფლებებზე მორგებული სტანდარტების ჩამოყალიბებისათვის, ყველა ეთნიკურ ჯგუფს, მათ შორის, მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებსაც, ჰქონდეთ **სახელმწიფო ორგანოებთან საკუთარ ენაზე საუბრისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.**[21]

მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვის კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო ცხოვრებაში ეფექტიანი მონაწილეობა, რომელსაც ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლი იცავს.[22] ცხოვრების ყველა სფეროში უმცირესობების მონაწილეობის ხარისხი საზოგადოებაში პლურალიზმისა და დემოკრატიის დონის ერთ-ერთ ინდიკატორად არის მიჩნეული. სწორედ ამიტომ, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების ეფექტიანი მონაწილეობისთვის პირობების შექმნა პლურალისტურ საზოგადოებაში სათანადო მმართველობის პრინციპების გატარების განუყოფელ ნაწილად განიხილონ. [23]

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტიანი მონაწილეობის უფლების არაჯეროვანმა შესრულებამ შეიძლება მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეუქმნას ეთნიკური უმცირესობების მიერ სხვადასხვა უფლებებით სარგებლობას. საზოგადოებრივი ცხოვრება ამ კონტექსტში არ

---

[17] იქვე. 41-44.
[18] მე-2 მოსაზრება, 2012, საქართველო., 79.
[19] მე-3 მოსაზრება, 2019., 124.
[20] მე-3 მოსაზრება., 96.
[21] იქვე.
[22] OSCE., p. 22.
[23] ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)., 2019., გვ. 52-56.

გულისხმობს მხოლოდ საჯარო საქმეებსა და გადაწყვეტილებებში მონაწილეობას, არამედ მოიცავს ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობასაც.

მე-15 მუხლის საკმაოდ ზოგადი ჩანაწერი მისი ფართოდ გამოყენების საშუალებას იძლევა. ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი მუდმივად მიუთითებს ინკლუზიური მიდგომის მნიშვნელობაზე, რომელიც მე-15 მუხლშია გარანტირებული. საკონსულტაციო მექანიზმები და საკონსულტაციო საბჭოები იმ საკითხებზე, რომლებიც უმცირესობათა უფლებების დაცვას ეხება, მიზნად ისახავს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის დიალოგისა და დისკუსიის წახალისებას. მე-15 მუხლზე მსჯელობისას საკონსულტაციო კომიტეტმა მას უფრო ფართო გამოყენების არეალი შესძინა და გაზარდა იმ საკითხთა სფერო, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უნდა მონაწილეობდნენ. კომიტეტმა განაცხადა, რომ მონაწილეობის საკითხები არ უნდა იყოს შეზღუდული ეთნიკური უმცირესობების კულტურის შენარჩუნების ან ფონდების გამოყოფის თემატიკით. მე-15 მუხლი ფარავს საზოგადოების უფრო ფართო საკითხებს, არა მხოლოდ მათ, რაც უმცირესობებს აწუხებთ, არამედ უმრავლესობასაც.[24]

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტიანი და ქმედითი მონაწილეობის უფლების თემას ეხება ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) ლუნდის რეკომენდაციებიც. რეკომენდაციები მოუწოდებს სახელმწიფოებს, შექმნან სპეციალური მექანიზმები, რათა გაზარდონ ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათი წარმომადგენლობა პარლამენტში, მთავრობასა და სასამართლო სექტორში. უმცირესობების საკითხები უნდა იყოს გათვალისწინებული აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებული პოლიტიკის ფარგლებში. ეუთოს რეკომენდაციები ეხება საარჩევნო სისტემასაც, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს უმცირესობათა წარმომადგენლობას და გავლენას.

ამის კარგ მექანიზმად არის მიჩნეული სათათბირო და საკონსულტაციო ორგანოების შექმნა, რაც სახელმწიფო ხელისუფლებასა და უმცირესობას შორის დიალოგს ემსახურება. ეუთო მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედითი მონაწილეობა კონფლიქტების თავიდან აცილებისა და დავის მოგვარების მიზნით საკონსულტაციო მექანიზმების შექმნას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო და ალტერნატიული მექანიზმების შექმნის შესაძლებლობას მოითხოვს.[25]

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიდგომები

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 სახელმწიფო სტრატეგიაში, ისევე როგორც მთავრობის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებში, მცირერიცხოვან ეთნიკურ

[24] იქვე.
[25] იქვე.

ჯგუფებთან დაკავშირებული ვალდებულებები მინიმალურად არის ასახული.[26] 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის *(ამოცანა 3.2)* ნაწილშია ნახსენები. კონკრეტულად კი, მოიცავს, მოთხოვნის შესაბამისად, მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების სწავლების სკოლებში დანერგვას.[27] სამოქმედო გეგმა, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი რეალიზების მექანიზმების განვითარების *(ამოცანა 5.2*) მიზნებისათვის, ასევე ითვალისწინებს მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან შეხვედრების ჩატარებას. ზემოაღნიშნული ამოცანების მიღმა, 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა, რაოდენობრივად მცირე ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებით, სპეციფიკურად არაფერს ამბობს.[28]

სტრატეგიის დოკუმენტი მნიშვნელოვანი ხელსაწყოა მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისათვის. თუმცა, სტრატეგიასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმების დემოკრატიული, ქვემოდან ზემოთ მიდგომების საფუძველზე შემუშავებისა და ანგარიშვალდებულების ეფექტიანი მექანიზმების გარეშე, მას კონკრეტული ჯგუფებისთვის რეალურად თანასწორი გარემოს შექმნის შესაძლებლობა ვერ ექნება.

ამ მხრივ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება, ერთი მხრივ, ეთნიკური უმცირესობების უფლებებისა და თანასწორობის საკითხებში, მეორე მხრივ, კი - დემოკრატიული და თანამშრომლობითი ღონისძიებების გასატარებლად. ამ მიმართულებით ადგილობრივ აქტივისტებთან, სათემო ლიდერებთან და მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუებთან მომუშავე ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფო ინსტიტუტებს დაეხმარება მათი პოლიტიკა რეალურ საჭიროებებს დააფუძნონ და თემის წევრებთან დიალოგისა და კონსულტირების ნამდვილი პროცესები შექმნან.

დასკვნა

მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ვიზიტმა და თემის წევრებთან გასაუბრებამ მნიშვნელოვანი საჭიროებები და წუხილები გამოავლინა.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ მცირე ეთნიკური ჯგუფების საჭიროებების შესწავლას და ამ მიმართულებით გამოიყენონ კვლევის და მონაცემების შეგროვების პროაქტიული და დემოკრატიული მიდგომები. არსებითია, მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს არ დარჩეთ განცდა, რომ სახელმწიფო მათი მცირერიცხოვნობის გამო უგულებელყოფს და ნაკლებად უჭერს მხარს მათ ინტერესებსა და საჭიროებებს. ამგვარი მიდგომა მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს იზოლაციისა და უნდობლობის კლიმატს

---

[26] სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 სახელმწიფო სტრატეგია, ხელმისაწვდომია: https://smr.gov.ge/uploads/Files/ %E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/646-1.pdf

[27] იქვე. გვ. 11.

[28] იქვე. გვ. 21.

შეუქმნიდა და დააზიანებდა პლურალისტური, თანასწორი და მულტიკულტურული საზოგადოების მშენებლობის პროცესს. სამწუხაროდ, სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები თითქმის არ მოიხსენიებენ უდიურ და ავარულ თემს და ის ასევე ნაკლებად მგრძნობიარეა სხვა მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების საჭიროებების მიმართ.

ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობებსა და ინტეგრაციისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებებს ჰქონდეთ დემოკრატიული და ინკლუზიური საკონსულტაციო პლატფორმები, რომლებიც, ერთი მხრივ, თემებს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას მისცემდა, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის სივრცეს შექმნიდა. სამწუხაროდ, ყვარლის მუნიციპალიტეტში ამგვარი ინკლუზიური, მულტიკულტურული საკონსულტაციო პლატფორმა არ არსებობს. ცენტრალურ დონეზე მოქმედ საკონსულტაციო პროცესებშიც, უდიებისა და ავარების თემი სუსტად არის წარმოდგენილი.

ავარების თემში კვლევამ არაერთი სოციალური გამოწვევა გამოავლინა: სასმელი და სარწყავი წყლის, სკოლამდელი განათლების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, შიდა გზების, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებით შეზღუდული სარგებლობა. თემის მოსაზრებით, მუნიციპალიტეტმა უნდა შეძლოს ბიუჯეტის ეფექტიანი და მიზნობრივი გადანაწილება, კარგად შეისწავლოს, რა არის სოფლის რეალური საჭიროებები და ორიენტირება მოსახლეობის ინტერესებზე გააკეთოს.

სამწუხაროდ, ავარულ სოფლებში გაბატონებულია უპერსპექტივობისა და უიმედობის განცდა. ისინი ვერ გრძნობენ ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერას და კონკრეტული მოთხოვნების დაყენების შემთხვევაში, არც ცვლილებების იმედი აქვთ. ამ სოფლებში სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსების უსამართლო გადანაწილების ისტორიულმა პრაქტიკამ, თემში ძლიერი უთანასწორობის განცდა წარმოშვა, რომლის უარყოფითი სოციალური გავლენები ახლაც საგრძნობია. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ დასახოს გზები მიწის რესურსებთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის მწვავე სოციალური საჭიროებების გადასაჭრელად. მით უფრო, რომ სოფლის მეურნეობა ამ თემში წამყვან ეკონომიკურ საქმიანობად რჩება.

უდიების კულტურული თვითმყოფადობისა და ენის გადარჩენის საკითხი განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა. ახალგაზრდა აქტივისტები დიდ ენერგიას ხარჯავენ საკუთარი ძალისხმევით უდიური კულტურის, ადათებისა და ისტორიის შესანარჩუნებლად და გასავრცელებლად. ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, აუცილებელია, კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას თემთა იდენტობის ხილვადობის კუთხით, ასევე შეეწყოს ხელი ყვარლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა მცირე ეთნიკური ჯგუფის ერთმანეთთან და ქართულ სოფლებთან ინტეგრაციას.

ყვარლის მუნიციპალიტეტის დონეზე იკვეთება ინკლუზიური პოლიტიკის და მულტიკულტურული გამოცდილებების სიმწირე, რაც თემთა შორის ურთიერთობებს გააღრმავებდა და შექმნიდა საერთო პლატფორმებს კულტურული დიალოგისა და სოციალური ურთერთობებისთვის. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა გააძლიერონ საკუთარი მუშაობა სოციალური ინკლუზიისა და

მულტიკულტურული გარემოს მშენებლობის მიმართულებით. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია ყვარლის მუნიციპალიტეტმა იმუშაოს იმგვარი მულტიკულტურული სივრცეების და პროგრამების შექმნაზე, რომელიც უდიურ და ავარულ თემებს მათი კულტურული ტრადიციების დაცვისა და განვითარების შესაძლებლობას მისცემდა, ამასთანავე, ამ კულტურას სხვა დაინტერესებულ ადამიანებსაც აზიარებდა.

დანართის სახით, წარმოდგენილია იმ საკითხების ცხრილი, რომლებიც ამ ორ თემში სისტემურ რეაგირებას საჭიროებს. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე მიმოხილვა შესაბამისი უწყებებისა და ორგანიზაციებისთვის სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში გამოსადეგი სამუშაო დოკუმენტი გახდება.

დანართი №1:

ავარულ თემში რეაგირებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

ინფრასტრუქტურული განვითარება	პოლიტიკური და სოციალური უფლებები	ენობრივი, კულტურული და განათლების უფლებები
➢ სასმელი/სარწყავი წყლის გაყვანა(სოფ. თივი)[29] ➢ შიდა გზების მოწესრიგება ➢ ამბულატორიის სოფლებთან ახლოს შექმნა ➢ ცენტრთან დამაკავშირებელი ტრანსპორტის მოწესრიგება ➢ სპორტული დარბაზის მშენებლობა (სოფ. ჩანტლისყურე) ➢ ინტერნეტის ქსელებთან ჩართვის მხარდაჭერა (სოფ. თივი)	➢ ავარულ თემში მოქალაქეობასთან დაკავშირებული გამოწვევების შესწავლა და გადაჭრის გზების ძიება ➢ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ავარული თემის წარმომადგენლობის გაზრდა ➢ საჯარო სამსახურში ავარული თემის წევრების, განსაკუთრებით, ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა ➢ მულტიკულტურული პოლიტიკის მხარდასაჭერად ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური საკონსულტაციო პლატფორმის შექმნა. ➢ სოფლებში მიწის რესურსთან დაკავშირებით ისტორიულად შექმნილი სირთულეების აღმოფხვრა (სოფ. თივი, ნაწილობრივ ჩანტყლისყურე)	➢ სკოლამდელი განათლების დაწესებულების შექმნა (სოფ. ჩანტლისყურე) ➢ თვითმმართველობის დონეზე ავარების კულტურის მხარდასაჭერად საჭირო პროგრამებისა და სასწავლო წრეების შექმნა ➢ თვითმმართველობის დონეზე კულტურული დიალოგისა და მულტიკულტურული თანამშრომლობის პროგრამებისა და პროცესების შექმნა ➢ სოფლებში ბიბლიოთეკისა და სათემო ცენტრების განვითარების ხელშეწყობა.

[29] შენიშვნა: აღმოჩენილი საჭიროების გასწვრივ, სოფლის დასახელება მითითებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საჭიროება მხოლოდ ამ სოფელს აქვს. დანარჩენ შემთხვევაში, საჭიროებები, სამივე სოფლისთვის (თივი, ჩანტლისყურე, სარუსო), ერთია.

	➢ ქალების ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული პროგრამების გაძლიერება	

დანართი №2:

<u>უდიურ თემში რეაგირებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:</u>

ინფრასტრუქტურული განვითარება	პოლიტიკური უფლებები	ენობრივი და კულტურული უფლებები
➢ სოფელ ზინობიანთან ახლოს ამბულატორიის გახსნა ➢ სასმელი/სარწყავი წყლის პრობლემის მოგვარება მოსახლეობასთან ეფექტიანი კომუნიკაციის გზით	➢ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე უდიური თემის წარმომადგენლობის გაზრდა ➢ საჯარო სამსახურში უდიური თემის წევრების, განსაკუთრებით, ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა ➢ მულტიკულტურული პოლიტიკის მხარდასაჭერად ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური საკონსულტაციო პლატფორმის შექმნა.	➢ უდიური ენის გადარჩენის საკითხის მხარდაჭერა ➢ უდიების იდენტობის წარმოჩინება და მისი ხილვადობის გაზრდა ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე ➢ სოფელში ეთნოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა